Sermon 25.04.2021 - (georgian)

ოსანა! კურთხეულ არს მომავალი

საღმრთო ლიტურგია პირველივე სიტყვებიდან - ,,კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა დასულისა წმინდისა“, ვიდრე დასასრულამდე - ,,იყოსსახელი უფლისა კურთხეული...“, აღსავსეა სამწმიდაღმერთის ქებით ისევე, როგორც ყველამართლმადიდებელი ღვთისმსახურებები შუალოცვის დროს იგალობება შესანიშნავი,,გამარჯვების სიმღერა“, შედგენილი ორიგალობისგან. პირველი ის, რაც წინასწარმეტყველმაესაიამ მოისმინა ცათა ანგელოსთა გალობიდან: ,,წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ, სავსეარიან ცანი და ქვეყანა დიდებათა შენითა“ (ეს.6,3), რადგან საღმრთო ლიტურგიაში უხილავადმონაწილეობას იღებენ ანგელოზები. მეორეგალობას ბავშვები გალობდნენ, ხვდებოდნენ რაუფალს, შემავალს იერუსალიმში: ,,ოსანა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“(ინ.12,13). სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობსდღევანდელი სახარება.

მაგრამ არა მარტო ადამიანები და ანგელოზებიადიდებენ ღმერთს, არამედ მეფსალმუნე თავისფსალმუნებში მოუწოდებს ყველა ქმნილებას,აქებდნენ და ადიდებდნენ უფალს: ,,აქებდით მასმზე და მთვარე, აქებდით მას ყოველნივარსკულავნი და ნათელნი... მთანი და ყოველნიბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი; მხეცნი და ყოველნი პირუტყვნი, ქუეწარმავალნი დამფირველნი ფრთოვანნი“ (ფს.148,3,9-10). 102-ე და103-ე ფსალმუნებში ფსალმუნთა მომთქმელიმიმართავს საკუთარ სულს: ,,აკურთხევს სული ჩემიუფალსა, და ნუ დაივიწყებ ყოველსა მოცემულსამისსა“ (ფს.102,2). ,,იყავნ დიდება უფლისაუკუნისამდე, იხარებდეს უფალი ქმნულთა ზედათვისთა" (103,31). ,,ვაქებდე უფალსა ცხოვრებასაჩემსა, უგალობდე ღმერთსა ჩემსა, ვიდრემდის ვიყომე“ (103,33).

სურვილი აქებდე და ადიდებდე შემოქმედს, ჩვეულებრივი მდგომარეობაა ნებისმიერიშეგნებული ადამიანისათვის, რადგან ღმერთმააჩუქა მას ყოფა და ცხოვრება, აძლევს ყველაფერაუცილებელს ცხოვრებისათვის. უფალმა შექმნაადამიანი - უმაღლესი თავისი ქმნილება, მისცასხეული და უკვდავი სული, მიმადლა ყველა პირობაიმისა, რათა მიემსგავსოს ღმერთს და მარადიულადიცხოვროს მასთან ერთად, დატკბეს მისი მეუფებისსიხარულით. გვირგვინი კი საღმრთო სიხარულისა -მისი ძის დედამიწაზე მოსვლაა, რომელიც თავისინებით ითმენს საშინელ წამებას და ჯვარზეგაკვრას, რათა იხსნას ადამიანის მოდგმა.

შეიძლება რომ გონიერმა ადამიანმა დაგანსაკუთრებით ღმრთისგან კურთხეულმამართლმადიდებელმა ქრისტიანმა არ ადიდოსღმერთი? სწორედ ამ მიზეზით, ტაძარშიშესრულებული საერთო ღმრთისმსახურების დროს, ჭარბობს დიდება. და სწორედ მართლმადიდებელიმორწმუნის პირადი ლოცვა იწყება და სრულდებაღმრთის დიდებით. ეს ეხება არა მარტოგანსაკუთრებულ საათებს, განსაზღრულს ლოცვებისკითხვისთვის, არამედ ნებისმიერ

ცხოვრებისეულმომენტებს, როდესაც ადამიანი ,,ყველა დროს დაყველა საათზე" გრძნობს მოთხოვნას თქვას: ,,დიდება შენდა უფალო.“

წმიდა პაისი ათონელი გვირჩევს: ,,დიდებაშენდა უფალო“ ყოველთვის გქონდეთ ბაგეზე. როცამე ტკივილს განვიცდი, ეს სიტყვები ჩემთვის უებარიწამალია, როდესაც უკვე სხვა აღარაფერი არმშველის. თუ გსურს უკვე დედამიწაზე იცხოვრო,როგორც ცათა სასუფეველში, მიმართე შენი ხედვამადლიერებასა და ღმერთის უდიდეს მადლზე დადაიწყე წარმოთქმა: ,,დიდება შენდა ღმერთო“ და განადიდე ღმერთი. როდესაც ადამიანიწარმოთქვამს ,,დიდება შენდა ღმერთო“-ს, უფალიმოდის მასთან დასახმარებლად, რადგანმადლიერება, შერწყმული მორჩილებასთან დასამართლიან ბრძოლასთან, იზიდავს ზეციურძალებს და საღმრთო კურთხევას.

წმიდა იოანე ოქროპირიც ამბობს: ,,დიდებაღმერთს ყველაფრისთვის.“ მე არასოდესშევწყვიტავ ამ სიტყვების გამეორებას, რაც არ უნდახდებოდეს ჩემს თავზე. მადლობლები ვიყოთღმერთისა და ვადიდოთ იგი. გავაკეთოთყველაფერი ღმრთის სიტყვის მსგავსად. რაც მიიღე, ყველაფრისთვის მადლობელი იყავი ღმერთისა რაცარ მიიღე - აგრეთვე მადლობელი იყავი.

და როგორც ვიცით, ბოლო სიტყვები იოანეოქროპირისა, წარმოთქმული დევნის დროს, იყო: ,,მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის.“

ზოგიერთს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: ,,უსამართლობის დროს, ავადმყოფობისა და სხვატანჯვისას, უნდა ვადიდოთ ღმერთი?“ და ეს სწორიკითხვაა, მასზე პასუხობს იობი. არის კი ვინმე სხვა, ვინც გადაიტანა მეტი ტანჯვა, ვიდრემრავალტანჯულმა იობმა? მან დაკარგა მთელითავისი ქონება. სახლი უეცრად ჩამოინგრა და მისიშვილები ნანგრევებში მოჰყვნენ. თავად იობიღარიბი იყო, არ ჰქონდათ ჭერი თავზე, მძიმედ იყოავად და ქალაქგარეთ ცხოვრობდა. მისი მეუღლე, სასოწარკვეთილებამდე მისული, უბიძგებდა მას,,ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდი!“ (იობი 2,9). იობიკი არ წყვეტდა ღმერთის დიდებას: ,,უფალმა მომცა, უფალმა წაიღო კურთხეულ იყოს უფლის სახელი“(იობი 1,21). ამ დიდების სანაცვლოდ უფალმა მიაგოიობს მრავალრიცხოვანი კურთხევა: ჯანმრთელობა, სიმდიდრე, რქოსანი პირუტყვი, ძეები და შვილები.

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, ჩემი პირადიგამოცდილებიდან შემიძლია განვსაჯო, რომ როცაჩვენ ღმერთს ვადიდებთ ყველა ბედნიერებისა დაუბედურებისათვის, ჩვენი პრობლემებიუმნიშვნელო გვეჩვენება, რადგან ასე ვიძებთთვითდაჯერებულობას, რომ უფალი გვიპასუხებს დაგამოსავალს იპოვის. მოდით, ყოველდღემადლიერებით ვთქვათ ,,დიდება შენდა ღმერთო“,თუნდაც მოგვეჩვენოს, რომ უმნიშვნელოშემთხვევაა.

განსაკუთრებით დღეს, უფლის იერუსალიმშიშესვლის უდიდეს დღესასწაულზე, ყველა ჩვენგანიაყვავებული ხის ტოტებივით ხელდამშვენებულები